მუნიციპალური სოციალური მუშაობის განვითარება საქართველოში

ნინო გელაძე

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გიგინეიშვილი (სოციალური მუშაობის მაგისტრი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის - „მუნიციპალური სოციალური მუშაობის განვითარება საქართველოში“ - ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო გელაძე

2021 წელი

აბსტრაქტი

მუნიციპალური სოციალური მუშაობის დანერგვა საქართველოში მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, ბავშვისა და ოჯახის მხარდამჭერი სოციალური მუშაკის როლის დამკვიდრება და გაძლიერება მუნიციპალურ სამსახურებში კეთილდღეობის პოლიტიკის ქმედითუნარიანობასა და განვითარებას უწყობს ხელს. ადგილობრივ თვითმმართველობებში სოციალური მუშაობის განვითარების კვლევა ამ ეტაპისთვის არსებული სიტუაციის ანალიზს ასახავს. კვლევის ფარგლებში საქართველოს 64 მუნიციპალიტეტში არსებული სიტუაციის შესახებაა გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, რომელზეც მუნიციპალიტეტების დაახლოებით 65 %- მა უპასუხა. კვლევის ამოცანას წარმოადგენს მუნიციპალიტეტებში ბავშვის უფლებათა კოდექსისა და სოციალური მუშაობის შესახებ კანონის შესაბამისად თუ როგორ ახორციელებენ თვითმმართველობები საკუთარ სამოქმედო ტერიტორიებზე სოციალურ მუშაობასა და ბავშვის უფლებათა დაცვას, ასევე რა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით. ნაშრომში მოცემულია მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული ზომების ანალიზი, როგორ მოხდა კადრების შერჩევა-დასაქმება, როგორაა დაკომპლექტებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, ვის დაქვემდებარებაშია, რა საკითხებზე უწევთ ძირითადად მუშაობა, როგორია მიმართვიანობა, მათ შორის პანდემიის პირობებში და ა.შ.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ნაშრომში მოცემულია სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურისა და საკანონმდებლო აქტების მიმოხლივის შესაბამისად შემუშავებული ზოგადი რეკომენდაციები მუნიციპალიტეტებისათვის, როგორიცაა სექტორთაშორისი ურთიერთობების გაძლიერების მნიშვნელობა, კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი და სხვა.

წინამდებარე კვლევა შესაძლოა საფუძვლად დაედოს და დაიგეგმოს უფრო მასშტაბური და სიღრმისეული კვლევა მუნიციპალური სოციალური მუშაობის განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოში. მუნიციპალიტეტებში ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის მიმართულებით სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბების ვალდებულება ძალაში 2020 წლის სექტემბრიდან შევიდა და აღნიშნული საკითხი ამ ეტაპისთვის საქართველოში ნაკვლევი არ არის.

ABSTRACT

The introduction of municipal social work in Georgia is an important step forward, the establishment and strengthening of the role of social worker supporting child and family contribute to the effectiveness and development of welfare policies in municipal services. The study of the development of social work in local self-governments reflects the analysis of the current situation at this stage. The study requested public information about the current situation in 64 municipalities of Georgia, to which about 65% of the municipalities responded. The aim of the research is to reveal how self-governments carry out social work and protection of children's rights in their areas of operation in accordance with the Law on the Code of Child Rights and Social Work in municipalities, as well as what effective steps have been taken to enact the law. The present paper analyzes the measures taken by municipalities, the method for selection-employment of the staff, how the relevant structural unit is staffed, who is in charge, what general issues they work on, how is the referral, including in pandemic conditions, etc.

Based on the results of the study, the paper provides general recommendations for municipalities developed in accordance with the review of various scientific literature and legislative acts, such as the importance of strengthening inter-sectoral relations, the issue for professional development and more.

The present study may form the fundamental research and further plan a larger and more in-depth study on the development of municipal social work in Georgia. The obligation to establish structural units in the field of child and family support in municipalities came into force in September 2020, and this issue is not studied at this stage in Georgia.